

ივერია

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამაურს. საზოგადოების კანცელირის.
ფასა განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეორეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

იური ირინიის ძე მოქალაქე და კინაშა ნინა ილიას ასუ-
ლი ნოლოკაშვილისა უგულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდა-
ცვალებას პირველი მელოისა თვისისა და მეორე დისა თვისისა
ელისაბედ ილიას ასულის მოქალაქისა და სთხოვენ ნათესავთა
და ნაცნობთ მობრძანდნენ გარდაცვალებულის გამოსვენებაზედ თა-
ვისს სახლიდან (ლაბარატორის ქუჩა, სახლი № 7) ალექსანდრეს
ბაღის კორპუსის ეკლესიაში, ხუთშაბათს, დილის 9 საათზედ. პანა-
შვიდი გარდახდით იქნება ყოველ დღე ნაშუადღევს პირველსა და
სალამოს შვიდ საათზედ. (1—1).

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა კანცელარიას,

სახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ“

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატულ საზოგადოების“
დასასაჯან

ფელეტონი

თ. რაფიელ დ—ძე პრისტავს.

(ტფილისის მეჩემეთაგან).

ძალი არ შეგვწყვეს ჩვენ ხელოვნებას,
რომ ღირსეულად შეგამოთ ქებით
და არცა თქვენს დავლს სპეტაკ
დიადსა ფსი რამ დავდოთ ჩვენის გონებით.
მაგრამ-კი დღეს გვსურს შეძლების
გვარად მოგიძღვინათ ქება წრფელის გულითა
და მოგილოცოთ დღესასწაული
გლებთა შვილებმა იყვარულითა.
ჰა, თქვენის ქნარით აღფრთოვნი-
ბულნი, მოვეგებებით თქვენს ციურს კალამს
და განუსაზღვრელ სიყვარულითა
გეთაყვანებით და გიძღვნით სალამს!
ორმოც-დაათი წელი შესრულდა,
რაც რომ სამოდ ტკბილს ჩანგს
აქდერებ და სიყვარულსა სამშობლოსისას
ტკბილის ჰანგებით მას ზედ ამდერებ...
ვნატრობთ, მგოსანო, კვლავაც გა-
ნაგრძობ
გრძობით სიმღერა—ეს სულის ღებნა
და წარწარის ხმით კიდევ გვასმინო:
„მიყვარს სამშობლო მე დედა-ენა“!
მეჩემე იოსებ გარსევანაშვილი.
20 ოქტომბერს, 1895 წ.

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ საფაროვისა, ავალიშვილისა, ბ-ნ
აბაშიძისა, კ. მესხისა და ალექსი-მეს-
ხიშვილის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

„გადაგზავრა ოჯახისა“.

გადაგზავრების მოსურნე—
ბუნებისაგან კრულია!

მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაზარდულია...
აკაკი.

I

აჩა მეგობარი.

— მაშ შენი გარდაწყვეტილება
შეუცვლელია რაღა?
— სწორედ...
— მერე რომ ინანო?
— ვეკვიბ...
— კაცო და... ნუ-თუ შენი წი-
ნანდელი აზრი ამ საგნის შე-
სახებ დაგვიწყდა? მგონი, დიდი ხანი
არ არის მას აქეთ, რაც შენ თითონ
დიდის დაბეჯითებით ამტკიცებდი,
რომ მისუსტებულ და დაცემულ ერის
შვილთ ცოლად სხვა ტომის ქალები
არ უნდა შეირთონო, რადგანაც მა-
თი გავლენა მომავალში ოჯახს
მთლად გარდაჰქმნის და გადაასხვავე-
რებსო... ხომ გახსოვს?
— მახსოვს და ესლაც მაგ აზრისა
ვარ...
— მიკვირს, ღმერთმანი!—მერე ის
აზრი რა აზრია, რომელსაც მისივე
პატრონი საქმით უარ-ჰყოფს?!
— სრულიადაც არა... მე ვამბობ-
დი მაშინ და ესლაც ვიტყვი, რომ
იქ, სადაც სიყვარული არსებობს,
თანხმობაც ფეხს მოიკიდებს და, თუ
ოჯახში თანხმობაა, — ექვს-გარეშეა ის
გადახალისება ოჯახისა, რომლისაც
შენ მაგრე გეშინიან, ფრთასაც ვერ
მოისხამს...

I ქათივან ფალიკაშვილი

1 მოქ. გაღმ. პ. ყიფიანის მიერ.

II

სევილიელი დაღაქი

კომედია 4 მოქ. თხ. ბომარშესი, თარ. დ
ყიფიანის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: სა-
საფაროვისა, ალოვისა, ბ-ნი აბაშიძე,
ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, სვი-
მონიძე, გედევანოვი, ადამიძე, საფა-
როვი, კანდელაკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოყე-
ბის უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი გლ. ალექსი-მესხიშვილი.

ვკისრულე

ყოველ გვარს **სასამართლო სამ-**
შის, როგორც სამოქალაქოს, ისე
სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ
გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთ-
ვე **მამულეების განკარგვის დაზირა-**
შეასს.

მსურველთ მოკვამართონ დაღას 8—10
საათამდე ღ. სალამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა,
№ 30, ივთხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

— როგორ?..

— აი, როგორ? ჩემი საცოლე
პირდება (და ეს დაპირება-კი
სარწმუნოა, რადგანაც ამის თავმდე-
ბია მისი ჩემდამო მხურვალე სიყვა-
რული), რომ ზედმიწევნით შეისწავ-
ლის ქართულს ენას და ყოველის
ღონისძიებით ეცდება, მომავალ შთა-
მომავლობას ჯეროვანად, რასაკვირვე-
ლია, ჩემთვის სასურველად, აღზრდის
და ეროვნულ თვით-ცნობიერებას გა-
უღვიძებს...
— შენ გავიწყდება, ჩემო კარგო,
ერთი რამ და ეს ერთი რამ მეტად
დიდ-მნიშვნელოვანია!.. ნუ-თუ ვერ
წარმოგიდგენია, რომ შენს საცოლე-
საც აქვს თან დაყოლილი ბუნებით
ის გრძობა სამშობლოს სიყვარუ-
ლისა, რომელიც მე და შენში ჰბუ-
ღობს... და მერე ამ გრძობის დაკ-
რძალვა განა ადვილია? მეორეც ის,
რა უფლება გაქვს მოსთხოვო—შენი
უარ-ჰყავ და ჩემი იწამეო? სწორედ
ასევე არც იმასა აქვს ამის მოთხოვ-
ნის ნება...

— კაცო, საიდან მოგდის ეგ აზ-
რები, რომ ვითომ ჩვენ ვეცდებით
ერთი მეორის გადღწობას? არც ის
იქნება და არც ეს... იმას რა სჯო-
ბია, რომ ჩემს შვილებს ჩემი ენაც
ეცოდინებათ და დედისაც?.. კაცმა
რომ რამდენიმე ენა იცის, ცუდია?
— მაკვირვებს შენი ლა-
პარაკი! არ ვიცი, რას მივაწერო ეს
ორქოფობა, რომელიც აქამდის
შენთვის არ შემეძინებია. მე-კი ასე
მგონია, რომ თითონვე ჰგრძობა—
მოვალეობას დაღატობ და ლო-
ბე-ყურეს ექიდები... მაგრამ ისა

რადგან 29 ოქტომბერს არ შესდგა

საგანგებო კრება

წერა კითხვის განავრცელებელ
საზოგადოებისა

წევრთა საქმეა რიცხვის დაუსწრებ-
ლობის გამო, ამიტომ, თანახმად სა-
ზოგადოების წესდების § 15-ისა,
იგი ხელ-მეორედ დანიშნულ იქნა
13 გიორგობისთვის, სალამოს 7 სა-
ათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო
ბანკის დარბაზში. განსახილველია
შემდეგი საგნები:

1, მოხსენება გამგეობისა დასამ-
ტებელის ხარჯების გადაღების შესა-
ხებ.

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც
უნდა გამოძებნოს საშუალებანი ახ-
ლანდელის სკოლების გასაუმჯობესე-
ბლად და ახლებს დასაარსებლად.

3, არჩევანი სარევიზო კომისიის
წევრთა შესამოწმებლად მიმდინარე
წლის ანგარიშისა

და 3, არჩევანი საზოგადოების
ახლის წევრებისა. (3—2).

ახალი ამბავი

* * * ადგილობრივ გაზეთების სი-
ტყვიო, ტფილისის ქალაქის საბჭომ

სჯობია, საქმე კარგად გავი-
თვალისწინოთ, გავუსინჯოთ ყო-
ველი კუთხე-კუთქული და მხოლოდ
შემდეგ გადავსჯათ... ეს ხომ ტანი-
სამოსის სყიდვა არ არის... აქ ისეთი
საგანი სწყდება, რომელიც მთელს
შთამომავლობას შეეხება... ამისათვის
მეწვის გული და ვერევი ამისთანა სა-
ჩოთირო საქმეში...

შენა ბრძანებ, რომ „ისიც ეცო-
დინებათ და ესეცაო“. ძალიან პატი-
ოსანი... ერთი სიტყვიო, ერთის
სროლით ორ კურდღელსა ჰკლავ,
მაგრამ აგრე-კია? არ სცდები? იქნება
ამ ტყვიამ ორი კურდღლის მაგიერ
მთელი მოღმა იმსხვერპლოს!.. საქმე,
ჩემო ძვირფასო, ენის ცოდნაში არ
არის... ლიტონი ცოდნა არაფერია,
თუ ამ ცოდნას საძირკველში კირ-
დულაბის მზავსად გრძობა არ ჩა-
წყვეთ!.. მე და შენ რომ ფრანგული
ვიციო, განა ფრანგები ვართ?—
მაშასადამე, უმთავრესი ყოფილა სუ-
ლი, გული და სიყვარული იმ ერი-
სა, რომლის შვილიც შენა ხარ!..

რაში ინატება ეს სიყვარული? თვით
იმ სიამაყეში, რომ ვგრძობთ ჩვენ
ქართველი ვართ და რაც უნდა დაბ-
ლა დავცეს ეს ერი, მისი შვილობა
მაინც სიხარულად მიგვაჩნია, ვიდრე
სხვა რომელიმე ბრწყინვალე ტო-
მისა!..
ათს და მეტს ენას შევისწავლით,
მაგრამ არც ერთი სიტყვა, წარმოთ-
ქმული ამ ენებზედ, ისე არ აგვიტო-
ვებს გულს, იმ ზომამდე არ ადვიფ-
რენს ოცნებას, როგორათაც თვით
უბრალო სიტყვა ჩვენის უბრალო
ენისა!.. რათა ხდება ეს?—იმიტომ,

მოლაპარაკება გამართა ქალაქის მოუ-
რავ თავ. ნ. ვ. არღუთინსკი დოლ-
გორუკოვის საშუალებით ინკენერ მარ-
გულიის ფირმისთან ოდესაში ტფილი-
სის ელექტრონით განათების გამო. აღ-
ნიშნულმა ფირმამ მიიღო წინადადება:
შეადგინოს პროექტი ტფილისში
სადგურის ასაშენებლად. ამ დღებში
ქალაქის საბჭომ მიიღო მ. მარგუ-
ლისისაგან წერილი, რომელშიაც ინ-
ქენერი ითხოვს პასუხს შემდეგ კით-
ხვებზედ: 1), საზოგადოების მმართველობას
სადგურის აშენება თავისის ხარჯით
უნდა თუ არა, სადგურს იჯარით გასცემს,
თუ თითონ ისარგებლებს, თუ კონსეციით
მისცემს სადგურის ამშენებელს; 2), შეატო-
ბინოს რამდენად ძლიერი უნდა იყოს
სინათლე ქუჩებში ელექტრონის ფარ-
ნებისა; 3), რიცხვი ელექტრონის
ლამპებისა, რომელიც დასჭირდება
ქალაქის საზოგადოებათა დაწესე-
ბულების განათებას; 4), ხარჯის
რაოდენობა, რომელიც ესლა უნდე-
ბა ქალაქის მმართველობას გასანა-
თებლად ქუჩებისა და საზოგადო შე-
ნობათათვის. ითხოვს ქალაქის გეგმას
და შემოსავლის და გასავალის სიას.
როდესაც ამ ცნობებს მიიღებს, მარ-
გულიის პირდება ქალაქის საბჭოს,
რომ თვისს პროექტს წარმოუგზავნის
და თუ საჭირო იქნება თვითონაც

რომ ამ ენის სიყვარული თვით დე-
დის რძესთან ერთად გვაქვს შეზრ-
დილი, შეთვისებული... ბუნებით
თან დაყოლილი სიყვარული მე-
რე ოჯახში უნდა გაღვივდეს,
თორემ იგი გაჰქრება, როგო-
რათაც ბევრი სხვა კარგი თვი-
სება კაცისა ილახება ავისა და ბო-
როტების მორევეში მცურავის ოჯა-
ხისაგან!..

აი ასე ვარდება ფათერაკში სამ-
შობლოს სიყვარული, როცა მას
ოჯახში ასაღორძინებლად ნიადაგი
არა აქვს!..

ახლა შენზედ ვილაპარაკოთ... ჯერ
ერთი—შენს შთამომავლობას გარდა-
ეცემა შერეული სისხლი, რომელიც
თავ-ანარ გრძობას ვერ ჩაუწყნავს
გულში სამშობლოსადმი. მეორეც—ეს
ბუნდი და ორქოფი გრძობა ოჯახში
ვერ ჰპოვებს შესაფერ აღმზრდელს—
რათა იგი გაძლიერდეს და დაბადე-
ბიდანვე თან-დაყოლილი სენი სხე-
ულისა—მოიშოროს, განიკურნოს!..

რათა ვგრძნობთ განსხვავებულს
სიყვარულს და დამოკიდებულებას
დედისა, ძმისა, დისა მიმართ? რა-
ტომ ასეთისავე გრძობით არ ვიმს-
ქვავლებით სხვა ნათესავთა და მახ-
ლობელთა მიმართ?—ჯერ ერთი იმი-
ტომ, რომ პირველნი ჩვენი სისხლ-
ხორცნი არიან, მეორე, რომ საუკე-
თესო და დიდად შთამბეჭდავ ხანას
ჩვენის ჩვილობისას მათ ახლო ვა-
ტარებთ, ერთის ცხოვრებითა ვცხო-
ვრობთ, ერთგვარს ატომოფერაში
ვტრიალებთ... აბა, აიღე რომელიმე
შვილი და ოჯახის გარეთად აღზარ-
დე... განა იმას ნათესაური მისწ-

ჩამოვა ტფილისში პირის-პირ მოსალაპაკებლად.

* * * ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ინსპექტორი ა. პ. ალბოვი გორის სასულიერო სასწავლებელში წავიდა სარევიზიოდ. ამავე აზრით წავიდა თელავის სასულიერო სასწავლებელში სემინარიის მასწავლებელი მ. ა. დობრონრაფოვი. როგორც ამობობენ, ზემოხსენებულ სასულიერო სასწავლებლების რევიზია გამოიწვია იმ მიზეზმა, რომ წელს ამ სასწავლებლებიდან ძალიან ნაკლებად გადმოვიდნენ მოწაფეები ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ბევრმა მათგანმა რიგიანად მოაუზღაურებლობის გამო ვერ დაიჭირა ეგზემენი.

* * * ამ ჟამად ტფილისში იმყოფება დერბის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ნი მაზნიგი, რომელიც ჩამოსულია იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს კავკასიის ყველა ენები და შეადაროს ერთი მეორეს, თუ რომელი ენა რომელს ენას ენათესავება.

* * * ასტრახანში გარდაცვლილი ერთი მდიდარი ვაჭარი და ანდერძით 600, 000 მანეთად ღირებული თავისი ქონების ერთი ნაწილი შეუწირავს საქველმოქმედო საქმეებისათვის.

* * * მხატვარს ვაზაშვილს მიუხედავად ლაუზანისა და მეორე სამარყანდის ცხოვრებიდან. სურათები ამ მოკლე ხანში გამოჰქიდას მიუნხენის ერთს

რაფება ექმნება ოჯახისაკენ?—არა მგონია... სწორედ ასევეა კაცის ერთი შესმენებ, რადგანაც მთელი ეროვნება იგივე ოჯახია, მხოლოდ უფრო ფართო, მრავალწევროვანი... თუ კაცის ზნეობრივ არსებობას თვით ბავშვობიდანვე დღრიტად სიყვარულისა თავისი ენისა ეროვნული თვით-ცნობიერება არ დაეღვა—შემდგომი მისი ქვეყნობის მიმართული იქნება შეუძლებელია!.. აი სწორედ ესვე მოხდება შენს ოჯახში, რადგანაც თითონ თქვენ, ოჯახის ბურჯნი—არკუნი იქნებით... ორ წყალ შუა რომ იტყვიან, სწორედ ის დამართება შენს მოდგმას, იგი იქნება რაცა უნდაღვა, უფროვნო, არც ის, არც ეს!..

ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში მოგელოს, თუ ვინცოცაა შენმა ცოლმა თავისაკენ არ გაიწია!.. წინააღმდეგ შემთხვევაში-კი, სრული გადახალისება აუცილებელია, ვერაფერ თარი ძალა ვერ შეაკავებს ოჯახს, გადავარების უფსკრულისაკენ ლტოლვილის... მხოლოდ წინათვე შემიძლიან ვიწინასწარმეტყველო, რომ შენი საცოლეს დაიჩრება არ გამართლებდა... ამის მოწმეა არა ერთი და ორი მაგალითი!.. იქნება ესაა ყველაფერს გულ-წრფელად გაბრძე-ბა, მაგრამ შემდეგ, როცა თქვენი ეხლანდელი ყოფა-დამოკიდებულება, პოეზია იღებთ საესე, ცხოვრების პროზად გარდაქმნება, მაშინ, ჩემო ძვირფასო, ეს აღთქმაც გაჰქრება ისე, როგორათაც ბევრი სხვა საოცნებო დაწყობილება—სიყვარულის ძალით შეთხზულ-შექმნილი.

იტყვი: „რათა“? აი რათა. შენს

Kunstverein-ში (დარბაზში). მხატვრობა თურმე საუცხოოა, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე მრავალგვარ ფერადებით (გაზ. „ნოვ. ობოზ“.)

* * * 29 ოქტომბერს მიხეილის საღვთისმეტყველო უცნაური ამბავი მოხდა. როდესაც ლოკომოტივი სრულიად დამზადებული იდგა, ვიღაც ვაჟბატონმა იცეკლა თურმე და რეგულიატორი მოუშვა. ლოკომოტივი დაიძრა; მისი რემ, რომელიც სახალხლო მატარებელს მოელოდა, იფიქრა მანევრებისათვის გამოუშვეს ლოკომოტივი და სურამის ლიანდაგისაკენ გაუშვა იგი. ლოკომოტივზედ სრულიად არავინ იყო. იარა ლოკომოტივმა და სურამში-კი ამოყო თავი. ამ მგზავრობაში, ანუ უკეთესტკვათ სეირნობაში, ლოკომოტივის წინ, რაღაც ბედზედ, არაფერი დაზხვედრია და ასე მშვიდობიანად ჩავიდა სურამში. ლოკომოტივი აქ მხოლოდ მაშინ-ღა გაჩერდა, როდესაც ლიანდაგი დასრულდა და თვლებით მიწაში ჩაჯდა სრულიად.

* * * რამდენჯერმე ითხოვეს ოზურგეთის ნოქრებმა, რომ კვირა-უქმე დღეებში თავისუფლება ყოფილიყვნენ მაღაზიებში მოშაობიდან, მაგრამ ეს თხოვნა მაღაზიის პატრონებმა არ შეიწყნარეს. ესლო, როგორც გვატყობინებენ, ხსენებულ ნოქრებს კერძო წერილები გაუგზავნიათ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა და მზრის უფროსისათვის დაენებარნენ და ისეთივე წესი შემოიღონ ოზურგეთის ნოქრებისათვის, როგორც სხვა ქალაქებში—მიეცეთ თავისუფლება კვირა-უქმე დღეებში.

არსებებს, მართალია, დაბადებიდანვე თან დაჰყოლია გრძობა სიყვარულისა, მაგრამ ამის დამაარსებელ ძალას ხომ არ უბრძანებია—ეგინდა თუ არა ესა და ეს შეიყვაროა. მაშასადამე, თუ შენ ეს გრძობა, გონებით უარ-ყოფილი (ამაზედ დარწმუნებული ვარ) ვერ დაგიმორჩილებია, განა ქალს, მე მგონია, შენზედ უფრო სუსტის ხასიათის მექონეს, შეეძლება დაბადებიდანვე თან დაყოლილი თვისება, მთელ მის არსებობასთან შესისხლ-ზორცებული—მერე ოჯახში აპყვავებულ-გადვივებული, განმტკიცებული უარ-ჰყოას? ვადალახოს და ახალ იმეითვისოს?!—მე-კი ვერ წარმომიდგენია-ღა...

—სცდები ღმერთმანი! სწორედ მაგრე მოხდება!.. თამამად ვამბობ—სიყვარული იმდენად არის მასში გამჯდარი, რომ ქართველს ერს ათაყვანებს, აღმერთებს, რაკი იცის, რომ მე ეს მიაგება და მასიამოვნებს... ამასთანავე იგი ძალიან მტკიცე ხასიათისაა.

—ღმერთმა ჰქნას! რაკი მაგრე დარწმუნებული ხარ, ალბად შესაფერი საბუთიც გიქირავს ხელში!.. მე მხოლოდ ვაგაფრთხილე... ესლო შენ იცი... მაშ, როგორცა სჩანს, ჯვარს მალე დაიწერ...

—ჰო, არა მგონია დავივიანოთ.

—ქალის ოჯახში ხომ არ აპირებთ ცხოვრებას?

—არა... ცალკე ვიქნებით...

მედია ამ თხოვნას ეხლა მაინც შეუძლებენ.

* * * გაზ. „კავკასია“ სწერენ, რომ 28 ოქტომბერს ს. მარტყოფის მცხოვრებ ქართველთა და აკტალელთათათრებს შორის შეტაკება მოხდა. ჩხუბის მიზეზი სახნავი მიწის ორჯოფლობა. ამ მიწის გეგმა აკტალელთებსა და მარტყოფელთებს კარგა ხანია დაეაჰქონათ ერთმანეთში და ბოლოს სასამართლოს მიწის მარტყოფელთებისათვის მიუხაჯა. აკტალელთათრებს ეს დიდად სწყენიათ და რომ სამეგრეო გადახადნათ, თავის მტრე მარტყოფელთებისათვის, 27—28 ოქტომბერს ხსენებულ მიწის ანუ ლეზინში საძოვრად შეურყენიათ რამდენიმე ცხვრის ფარა. გაუგიათ ეს მარტყოფელთებს და გამოსულან საჩხუბრად. გამართულა თოფის სროლა თათრებსა და ქართველთებს შორის. მოუკლავთ რამდენიმე ცხვარი. ქართველთებს დაუსხლეთათ ფარა და წაუსხამთ გირაოდ. მარტყოფელთებს მოუსურვებიათ შინაურულად მორიგება, ამიტომ აკტალელთათრებს დაჰპირებიათ, რომ ცხვარს დაგიბრუნებთ, თუ წახდენს ავგინაზღაურებთ და 1,000 მანეთს ფულს მოგვცემთო.

* * * წიფა: აღიდებულმა წყალმა დაანგრია სახლები, დაიტაცა წისქვილები და დაარჩო ერთი კაცი. წყალმა დაანგრია რკინის გზის ლიანდაგი. გვირბიდან შეუძლებელია მიმოსვლა მარტყოფისაკენ. ხოლო რა ხდება მოლთის იქით, ეს არავინ არ იცის. ბელაგორში დაარჩო ერთი ვაჭარი, დაანგრია შენობები, ერთი კონდუქტი.

ექიმი. ამ ორ ყმაწვილ კაცს ერთს გიმნაზიაში ესწავლათ, ერთი და იგივე უნივერსიტეტი დამთავრებინათ და გულითადი მეგობრები იყვნენ ერთმანეთისა.

II
გაკვეთილი.
ლორჯე აბაქურიანი ლამპარი ოთახს მოლოჯრე-მომკრთალო ნათელსა ჰფენდა.

სამწერლო მაგიდა კაპწია ქალსავით მორთულ-მოლაგებული იყო სხვა-და-სხვა სამწერლო ნივთებით, რომელთა შორის ბევრს ისეთივე დანიშნულება ჰქონდა წერის დროს, როგორიც—ოთახში გამოკიდულ სურათებს... ეს ნივთები ისე იყვნენ არეულნი ერთმანეთში, თითქოს ფერხულში ჩაბმული ხალხიაო—დიდ-პატარის განურჩევლად, მაგრამ ამასთანავე სრული პარმონია და სიმეტრია ჰსუფევდა, ასე რომ გვეგონებოდათ—სწორედ ამ რიგად უნდა ეწყვნენო. აგრეთვე სჩანდა, —რომ ყოველს საგანს ერთი და ერთი დანიშნული ადგილი ჰქონდა და საკმარისი იყო მათი ამ ალაგადან დაძვრა, რომ მზრუნველს ხელს ისევ თავის-სავე ბინაზედ დაებრუნებინა.

ოთახში დაურღვეველ მყუდროება-სიჩუმეს დაესაღვრებინა, თუმცა-კი მაგიდას ორი ადამიანი უჯდა გვერდით. ერთი მათგანი ჩვენი ნაცნობი—მიხეილ სალარიძე იყო—მეორე-კი მისი მეუღლე ელისაბედი, ესე იგი „ლინეტ“, როგორც მიხაკო უწოდებდა ხოლმე ცოლს. ქალბატონი ელისაბედი ჩასჩერებოდა მის წინ მდებარე რვეულს, რომელშიაც ლექსიკონით აღნუსხულიყო ქართუ-

ქტორი დაიჩო, ერთაც მძიმედ დაშავდა. ხილები ზოგი სულ მთლად დაანგრია, ზოგი დაზიანა. ხარაგულში დაიტაცა ღუქები, დაარჩო ერთი კაცი.

გუშინ საღამოთი მიხეილი საღვთისმეტყველო ხილმა ძირს დაიწია. თვით მიხეილი სულ მთლად წანაშა. საღვთო წიფადგან საღვთო რიონამდე ყოველ გვარი მიმოსვლა შეწყვეტილია. იძულებულნი არიან დეპეშები ბაქოზე და ნოვოროსიისკენ გზავნონ ქუთაისისაკენ. მარტყოფისა და მოლთის შუა საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან წყალში გადავარდა. წყალში დარჩა სამი ვაგონი, წყალს ზევით დაიმტვრა ხუთი, მძიმედ დაშავდა სამი კონდუქტორი, ერთი მოკვდა. საზოგადოდ რკინის გზის ლიანდაგი ისეა დანგრეული, რომ კარგა ხანი მოუნდება მის შეკეთებას.

„კვალის“ ისტორიული კეთილ-სინდისიერება.

„კვალის“ მე-46 ნომერში დასტამებულია „თ. რ. ერისთავის ორმოცდა-ათი წლის იუბილეს ისტორია“. წერილის ხასიათი იმდენად შემადრწუნებელია, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ იგი. საზოგადოდ წერილის ავტორის ნალაპარაკებიდან გამოდის, რომ „კვალს“ გასაკვირველი ენერჯია და სამაგალითო მეცადინეობა რომ არ გაეწია, იუბილეს დღესასწაულობა სრულიად არ შესდგებოდა. რას ნიშნავს ეს—უვიცის და გადამეტებულ თავ-მოყვარის უბრალო ბაქი-ბუქობას და ტრახახს, თუ განგებ შეთხზულს ცილისწამე-

ლი სიტყვები, რუსული ასოებით დაწერილი და რომელთაც გვერდზე თარგმანი ჰქონდა მოწერილი რუსულს ენაზედ. ლამპარის შუქი ქალს ზედ პირის სახეზედ სცემდა, მაგრამ ისე ნარჩარად, თითქოს ესიყვარულეობა; ამასთანავე აორკეცებდა სახის კანის სიფაქიხეს, სინაზეს და სისპეტაკეს, ასე რომ ყოველი ნაკვთი მარმარილოსაგან გამოქანდაკებულად გეგვენებოდათ. მაღალს და ფართოდ გადაშლილს შუბლს ვარს შემოჰხვეოდა ოქროს ფერი, ბუმბულივით მსუბუქი და ხუტუქი თმა, რომელიც, სახის სინაზესთან და სიკეთილშობილესთან გადაკავშირებული ქალის არსებებს ანგელოსურს იერსა სდებდა. თმა ქალს მაღლა ჰქონდა აკეცილი და მძიმე ხვეულად ქოჩოთან გამაგრებული ძვირფასის ქინძისთავით, რომლის ბრილიანტები თითქოს ლამპარის ელვარებას ექიმებოდნენ. თმის წინა კულულები, პაწია გველსავით დახლოანილი, აქა-იქ შუბლზე გადმოჰკიდებოდნენ. შორიდგან რომ შეგებდათ—გვეგონებოდათ—სპილოს ძვალა და ოქროთი მოუხარნიშებიათო. ცის-ფერ თვალებს ოქროს ფერი წარბები შევიდისავით გადაჰკვროდნენ, თითქოს სდარაჯობენ, რომ მავენ-რამ არ შეეხოსო. ხშირი და გრძელი წამწამი, რომელიც ისე მქიდროდ შემოხვეოდნენ თვალების ქუთუთოებს, თითქოს ისრები და ეს არის—გულის გასაგმირად გამოიტყარცნებიანო ამ ისართა კრებას—ამასთან თვალების გამომეტყველება ისეთი ჰქონდა, გვეგონებოდათ ორი ძვირფასი ფირუზი ვიშრის ჩარჩოში

ბას?ორსავე შემთხვევაში სწორედ შესაწუხებელი გარემოებაა! განა უაღრესო და სამარცხვინო არ არის ამისთანა საქმეში ტრაბახი? განა მოსათმენია ცილის-წამება ამისთანა თვალსაჩინო წუთიერ ჟამის გამო, რომელშიაც გამოიხატა ნათლად საქართველოს ერის თვითცნობიერება?.

„კვალის“ მიერ შეთხზული ისტორია არ არის კეთილ-სინდისიერი: „კვალის“ მეცადინეობა და ენერჯია აქ არაფერს შუაშა, რადგანაც ქართველი ერის, ქართველი საზოგადოებას, ქართული პრესაც სინარულით და თანაგრძობით მიეგება იუბილეს დღესასწაულობის ამბავს და ყველანი გულმოდგინედ მუშაობდნენ. თუ იყო ერთი-ორი წინააღმდეგი ფაქტი, საქირა იყო ამათი ნამდვილი აღნიშვნა და არა ფანტასტიკურ ისტორიის თხზვა...

მაისის 22 აკაკიმ დაჰბეჭდა „კვალში“ წერილი „საყურადღებოთ“, რომლითაც იწვევდა საზოგადოებას თავ. რაფიელის იუბილეს საღვთისმეტყველოდ. ამ მოწოდების დაბეჭდიდან იუბილეს დღესასწაულობამდე ყველანი თანაგრძობით და ერთად მოღვაწეობდნენ გარდა ერთის-ორის მაგალითისა; „კვალის“ ისტორიკოსის სიტყვით-კი, ყველანი „უთანაგრძობოთ“ იყვნენ. საზოგადოებამ და საზოგადოდ ქართველმა ერმა თავისი თანაგრძობა უკვე ფაქტიკურად დაამტკიცა და ამ მხრით დაცვა-გამოსარჩობა მეტია. ვნახოთ რამდენად მართალია „კვალის“

ჩაუსვამთო. მხოლოდ ამ ჰაეროვნებს და ანგელოსურის უბიწობის გამომეტყველებას როგორღაც ეწინააღმდეგებოდა თვალების დაუწყნარებელი ალი, ქალურის თინიანობით და კერპობით საესე. ამიტომაც, რა ცოტათი მაინც დააკვირდებოდით, აუცილებლად უნდა გვეგრძნოთ, რომ ეს ზეციური ქმნილება, პირველს შეხედვანზედ წყნარი და აუღელვებელი, ძალიან ხშირად იმსკვლება სხვა-და-სხვა გვარის წადილ-სურვილებით და ვნებათა დღღვის მორგეში ყელამდის შესტოპავს ხოლმე. ამას გარდა პირველი შთაბეჭდილება აგრეთვე მალე შეგეცვლებოდათ, თუ თავს გადაავლებდით ქალის ტანს, ფართოდ გადაშლილი გულ-მკერდ-მხარ-ბეჭი კაცს თავისაკენ უცნაურის ძლიერებით იზიდავდა და ვნებათა დღღვას ამჩნევდა გულში.

ამ საღამოს ცოლ-ქმარს ქართული ენის გაკვეთილისათვის მოეცალათ; ელისაბედი ჩასჯდომოდა ქმრისაგან შედგენილს ლექსიკონს ქართულ-რუსულის სიტყვებისას, რომელთა ცოდნაც ცხოვრებაში აუცილებლად საჭირო არის, მაგალითად „ის მოიტანე, ეს მოიტანე“, „ამას რა ჰქვიან“, „მე თქვენ მომწონხართ“ „პური“, „მარილი“ და სხვა. სწორედ მეოთხე თვე იყო, რაც მათ ჯვარი დაიწერეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქართული ენის შესწავლა არამც თუ კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ, არამედ სულ უმოძრაოდ გახლდათ. ან სად ეცალათ ახალგაზდა ჯვარ-წერილთ ქართულის სასწავლოდ? ისინი მთლად სიყვარულის მორგეში ჩაყურყუმე ღაღვდნენ და ამ ყოფაში მალე გარ-

ბოლოდ ქართულ პრესის შესახებ. *) აკაკის მოწვევამ რადგან უთანხმოებოდა ჩაბარა, სწერს „კვალი“ ჩვენსა ჟურნალ-გაზეთებში კვების თაბლით შეხედეს ასეთს განცხადებას. ეს ტყუილია!

„ივერიამ“ მაშინვე სიამოვნებით და თანაგრძობით აღნიშნა ეს მოწოდება და დასტამბა 27 მაისს მე-108 ნომერში მოწინავე წერილი ამ საგნის შესახებ. აკაკი თავის წერილში ამბობდა: „დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის (თავ. რაფიელის) შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“.

„ივერია“-კი სწერდა: „ჩვენ გგონია, რომ ქართველობა არ გამოიხივს ამ შემთხვევაში ჩვეულებრივს დაუდევრობას და სახარულით მიუგებებს განზრახულს დღესასწაულს...“ „ივერია“ პირველსავე წერილში ამბობდა—ეხლავე უნდა დაარსდეს კომიტეტი და სხვა. ეს პირველი ნომერი „კვალის“ არა კეთილ-სინდისიერის ისტორიკოსობისა!

შემდეგ კრებამ აირჩია კომიტეტი გამგე და აღმასრულებელი. ეს მოხდა აგვისტოს დამდეგს. გავიდა თვე და კომიტეტმა არ იწინადა დაწყება. „კვალმა“ 17 სექტემბერს დაჰქუდა კიდევ მოწოდება. „კვალის“ ისტორიკოსის სიტყვებიდან სჩანს, ვითომ „ივერიას“ ამ ხნის განმავლობაში კრინტი არ დაეძრას. ესეც ტყუილია. გარდა წერილ-წერილ ამბებებისა, რომ აქა და აქ ეს მზადება საიუბილეოთ და სხვა, „ივერიამ“ დასტამბა კვირას, 13 აგვისტოს (№ 173), ესე იგი ერთის თვის წინადა, ვიდრე „კვალმა“.

*) აქ უნდა ვიგულისხმობთ „ივერია“, რადგანაც „მოამბე“ თურხი თურხალია და იუბილეს ყოველ დღიურს ისტორიაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ბიან დღეები, კვირები, თვეები... შეუღლებულნი მთელს დღეს ხვეწა-კოცნაში ატარებდნენ და ხმა-მალა წარმოთქმულ ოცნებით სულდგმულობდნენ. როცა უზომოდ აშლილი მგრძობელობა ნაცარში გახვეულ ღვედფსავით მიწოდებოდა ხოლმე — მაშინ ცოლ-ქმა-რი მომავლის შესახებ ლაპარაკობდა და უნდა გენახათ, რა სქელის ფერადებით აღმხატვრული ცხოვრება ეშლებოდათ მათ თვალ-წინ. ერთი სიტყვით, მიხეილი და ელისაბედი — ძალიანაც რომ ცდილობდნენ, ვერას მოახერხებდნენ ქართლის სასარგებლოდ გარემოებათა წყალობით.

მხოლოდ, როცა ეს ყოფა, პოეზია, ცოტა არ იყოს ჩვეულებრივ ცხოვრების პროზაში შესცვალა, მზორგავი ზღვა გრძობათა დღევისა მიწ-წყნარად, ორივე ცხოვრების წეს-წყობილებას დაემორჩილა. მიხეილი თავის მოვალეობას დაუბრუნდა, ელი-საბედი-კი ოჯახის მართვას შეუდგა. როგორც კარგ ვეკილს, საღარიბეს საქმეები საკმაოდ ჰქონდა, ასე რომ მომეტებულ დროს ამ საქმეთა შორის ატარებდა; როცა-კი თავისუფალი იყო, ისევე თავის ნეტარებას, მაცოცხლებელ თაყვანება-კოპწიობას უბრუნდებოდა. ასევე იყო ელისაბედიც. ექვ-გარეშეა ასეთი ცხოვრება ხელს შეუშლიდა ამ ოჯახში ქართლის აღორძინებას. ამას გარდა ყველა მიმსვლელ-მომსვლელი ან უცხო ტომისა იყვნენ, რომელთაც

წერილი, რომელშიაც ჰკიცხავდა კომიტეტებს დაუდევრობისათვის და იწვევდა მათ — საქმე დაეწყათ დაუყოვნებლივ. შემდეგ 22 სექტემბერს (№ 203), ივერიამ „კიდევ დასტამბა ამგვარივე შენიშვნა და მოწოდება...“ „კვალის“ ისტორიკოსი სწერს: ბოლოს სხვა ქართულმა გაზეთებმაც ირწმუნეს, რომ საქართველოს ერთ აძლევს წინამდებარე დღესასწაულს საერო მნიშვნელობას და „ივერია“ უკვე დაუწყა „კვალს“ ამ საქმეში „დახმარება“. ეს იყო ოქტომბრის პირველ რიცხვებში, სწერს „კვალი“. სჩანს, რომ „ივერია“ მხოლოდ ოქტომბერში დაიწყო იუბილეზე ლაპარაკი, იქამდის-კი არ სწამდა, რომ იუბილე შესდგებოდა. რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრება, ცხადად სჩანს თუნდ იქედანაც, რომ „ივერია“ პირველსავე წერილში, ესე იგი მაისში, ამბობდა, რომ „ქართველი ერთი არ გამოიხივს ამ საქმეში დაუდევრობას და სხვა“. ცხადად სჩანს იქიდან, რომ „ივერია“ რამდენჯერმე ანგარიშს სთხოვდა აღმორჩეულს კომიტეტებს და სხვა.

იუბილეს მზადების ისტორია ნათლად გვიტყობს, რომ მთელი ქართველობა თავისი გაზეთებით, სხვადასხვა „საზოგადოებით“, დაწყებული ლეგაციებით, ერთიანად სიამოვნებით და თანაგრძობით ემზადებოდა იუბილესთვის. ამით იარის ეს დღესასწაულობა დიდმნიშვნელოვანი და იმით-არის ის საბუთი ერის დამწიფებისა, იმით არის ის სასურველი გარემოება ჩვენს ცხოვრებაში. „კვალს“-კი ჰსურს სრულიად გააქარწყლოს ეს გარემოება და დაგვიტყოს, რომ მხოლოდ „კვალმა“ და გ. წერეთელმა დაავიწყდინეს საქმეო!..

ამისთანა საქმის გადასხვაფერება, ბაქი-ბუქობა და ტრახბი თუ საკად-

ქართული არ იცოდნენ, ან კიდევ ისეთნი, რომლებმაც ქართლის გარდა სხვა ენებიც იცოდნენ... ამის გამო ორსავე შემთხვევაში საბრალო ქართული ენა დაკრძალულ-განდევნილი იყო საღარიბის სახლიდან. დღის წინაშე-კი უნდა ვსთქვა, რომ ხანდა-ხან მიხეილს მოაგონდებოდა ხოლმე ვანო ონორიძის სიტყვები, თმა ყალყზე უდგებოდა და ცოლისაკენ გარბოდა, აყვდრიდა, რომ დაპირებას არ ასრულებო. ისიც ასე უპასუხებდა ხოლმე: „რა ვქნა, ჩემო სულიკო?! რა ჩემი ბრალია? ვინ მასწავლის? შენ შენს საქმეში ხარ გართული, მე-კი ოჯახს დავტრიალებ, იმდენი ვერ მომიცლია, რომ რიგანად ჩავიკიდო ხელი ამ საქმეს... აი, სონი-ჩაკა დამპირდა გიშველიო, მაგრამ მოვა თუ არა, მაშინვე სხვა საგანზე ვიწყებთ ხოლმე ლაპარაკს და მგონია არც იმან უნდა იცოდეს კარგად. ქართული“.

— ასეთი ლაპარაკი, ჩვეულებრივად, ხვეწა-კოცნით თავდებოდა, რადგანაც ქმრის მოსიყვარულე გული ვერ უძლებდა ქალის მოლაქუცებას, მისს ჩაკოკრებულის ტუჩების ღიმილს და თვალების მომხიბლავ გამომეტყველებას. იდებოდა კვლავ ახალი აღთქმა და ფიცი, რომელიც, რასაკვირველია, შეუსრულებელი რჩებოდა. ზოგჯერ-კი თვით მიხაკო ასწავლიდა; შეუდგინა პაწია ლექსიკონი და ამ ლექსიკონში მოთავსებულ სიტყვებიდან ელისაბედი მთელს ფრანგებს აღ-

რისია, ქართველმა მკითხველმა განსაჯოს!

უცხოეთი

გერმანია. გაზეთების სიტყვით, გერმანიის პარლამენტის სხდომები დაიწყება სამს დეკემბერს. პარლამენტს, სხვათა შორის, წარედგინება ზღვათა სამინისტროს შეამდგომლო ბა, რომ გადიდვას ორი მილიონი მარკი დამატებითი კრედიტისა ახალ სამხედრო გემების ასაშენებლად. ამგვარი შეამდგომლობა ეს მეორედ წარედგინება პარლამენტს; პირველად წარედგინა შარშან და პარლამენტმა უარი უთხრა.

საზრანგეთი. გადამდგარ სამინისტროში უკეთეს მინისტრად ითვლებოდა ჰანოტო. მისმა დიპლომატიურმა ნიჭმა შესძინა მას სახელი გარეშე საქმეთა უკეთეს მინისტრისა საფრანგეთში. ჰანოტომ არ ისურვა ბუჩუქას სამინისტროში შესვლა. ახლა-კი ამბობენ, რომ ჰანოტო სამუდამოდ ანებებს თავს პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ისევ მეცნიერებას უბრუნდებოა. ჰანოტო ცნობილი ისტორიკოსია.

პარლამენტში სამინისტრო დეკლარაციის წაკითხვის წინა დღით ბუჩუქამ შემდეგი დებულება წარუგზავნა იმ დეპარტამენტის პრეფექტს, სადაც კარმო იმყოფება: „ახალის სამინისტროს ერთ-ერთს უმთავრესს საგანს ამ უმად შეადგენს ის, რომ გამოძებნოს საჭირო საშუალებანი, რაიმე ნაირად თავიდან აიცილოს მრავალი სხვადა-სხვა გაქარვებანი დი კარმოში მუშაობა დაიწყოს ორივე მხარე-

გენდა ხოლმე. — ცხალი მოიტა, ЭТО ЗНАЧИТ ДАЙ ВОДЫ... მიუბრუნდა ელისაბედი მიხაკოს, რომელიც იქვე გვერდზე უჯდა და გაშტერებული მისჩერებოდა ცოლის ნახევრად მოტიტვლებულს გულ-მკერდს... — დიად, — უპასუხა ქართულად ქმარმა.

ქალის მარჯანის ფერ ტუჩებზე მომჯადოებელმა ღიმილმა გადაიბინა, თითქოს ვარდი შუაზე გაიბოო, თვლები სიყვარულით შეავლო ყმაწვილი კაცის სახეს და უთხრა:

— შენ შენებურად მიპასუხებ? ყოჩაღ! გინდა გითხრა, რასაც ჰნიშნავს — ეგ „დიად“, ჰა? განა არ ვიცი, ვიცი... აქ ქალი უეცრად შესდგა, ქმრის სახეს დაატყერდა, თითქოს მასში რაღაც უცნობი რამ ჰპოვაო.

— მაიკა, მაიკა... ემანდ უღვა-შში რაღაც ნამცეცი გაქვს განჩირული, უთუოდ ჩაის სმის დროს აგყვა, მოიტა გაგიწმინდა.

ვაქმა ცოტათი თავი დახარა; ქალმა კმაყოფილის კოპწიობით მის უღვაშს მიუახლოვა საღრამდის გახდილი, ფუნჩულა, ჩასუქებული და, ცოტა არ იყოს, ვარდისფეროვანი მკლავი, თანაც თავი მარჯვნივ გადახარა და ქვეშედგან ქმარს გაუღიმა, მიხეილმა-კი, რომელსაც გულმა ებანსავით დაუწყა ცემა, ნაზად წაავლო ორივე ხელები თავში, ერთი დაატყერდა, თითონაც ნეტარების ღიმილი შეუთამაშდა ტუჩებზე და მერე სწრაფად დაეკონა ქალის ბაგეს,

სათვის სასარგებლო პირობებით. ეს საშუალება კანონითაც არის ნაჩვენები, — იგია მედიტორეთა სამართალი, რომელსაც ორივე მხარე დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილდნენ. ამიტომ გთხოვთ მიპართოთ ორივე მხარეთ, ჰსურთ თუ არა იმ პირობებით ამორჩიონ მსაჯულნი, რომელიც 1892 წლის 27 დეკემბრის კანონით არის აღნიშნული. „ფიგაროს“ აზრით, ეს დებულება უფრო ახანებს, ვიდრე ჰსპობს ინტერპელიაციას კარმოში შეთქმულთა შესახებ, რადგანაც ექვი არავისა აქვს იმისი, რომ რესეგვე წინააღმდეგი იქნება მედიტორეთა სამართლისა.

ინგლისი. ლონდონის სამედიცინო საქალგობა სასწავლებელმა ამ დღეებში ითხოვა დედოფლის ექიმთა კოლეგიის საბჭოში, მიეცეთ ნება ქალებს დაიპირონ ეგზამენი და მიიღონ დიპლომი ზემოხსენებულ კოლეგიის ექიმის ხარისხისა. აღნიშნულ ექიმთა კოლეგია არ თანაუგრძნობდა აქამდის ქალების პრაქტიკულ მოქმედებას მედიცინაში და ამ მოკლე დროშიაც ასეთივე თხოვნა არ იქმნა მისგან შეწყნარებული 68 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 16-სა. ახლა-კი, როგორც ამბობენ, ამ კოლეგიაშიაც გამრავლებულა ქალების მომხრეების რიცხვი, ასე რომ, როდესაც ქალებს ზემოხსენებული თხოვნა წარუდგენიათ, მათი მხარე დაუქერია 50 წევრს 109 წევრიდან.

ხოლერის ატრა.

ექიმი ხავკინი, რომელიც ინდოეთში წავიდა, ხოლერის ატრის საცდელად, უკვე დაბრუნდა პარისში. ინგლისისა და ინდოეთის ჟურნალ-გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ხავკინისაგან ხოლერის წინააღმდეგ

თავისაკენ მიიზიდა და გულზედ მიიკრა... რამდენიმე ხანი ესე იყვნენ. ბოლოს ქალი განთავისუფლდა ქმრის მოხვედრისაგან და კვლავ თავისი საქმე განაგრძო; წამ და უწყუმ მოუბრუნდებოდა ქმარს და ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას, სხვადა-სხვა მხრივ წარმოგებას ჰკითხავდა. ისიც უხსნიდა... მაგრამ კითხვა ახსნას რაღაც უნდომი ხასიათი ჰქონდა, სწორედ იმგვარი, როცა კაცი თავის უსიამოვნო მოვალეობას ასრულებს, მაშინ, როდესაც გული სხვა საგნისაკენ მიჭურინავს და თავში ათასი ფერად-ფერადი ფიჭრი უტრიალებს.

დიდხანს უტყირა იდაყვზედ დაყრდნობილმა მიხეილმა თავისს ლამაზ ცოლს. ამ დროს მიხეილმა ვარდის-ფერ ყურის ბიბილოს ქვეშე შეჰნიშნა ერთი ხალი, რომლის არსებობა აქამდის მისთვის დაფარული იყო.

— ლიზეტ! ქალმა სახე მოატრიალა. — საკვირველება რამ შეენიშნე შენს კისერზედ...

— რა? გაიკვირვა ცოლმა და მთელი იმისი სახე გაოცებითს ნიშანს დაემზავსა.

— ხალი, ყურის ბიბილოს ახლო... — ხა...ხა...ხა... — ჩაიკისკისა გულიანად ელისაბედმა, მეც არ გამიკვირდა!.. როგორ? განა აქამდის არ იცოდი ეს ამბავი?

— არა. — მიკვირს... შენს ცნობის მოყ-

ატრას კარგი შედეგი მოჰყვამო. ხავკინის ინდოეთიდან დაბრუნების წინა დღეს მის პატივსაცემლად კალკუტაში მოხდა მედიცინის საზოგადოების კრება. ამ კრებაზედ საზოგადოების პრეზიდენტმა ექიმმა კრომბმა სთქვა, რომ 43,000 კაცს აეცრა და არც ერთს ატრას ცული შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო ექიმი და სანიტართა დირექტორი სიმპსონი სტატისტიკურ ცნობებიდან ამტკიცებს, რომ ხოლერით ავადმყოფობამ ოცჯერ იკლოო და თვრამეტჯერ ხოლერით სიკვდილმა მათ შორის, ვისაც ატრილი ჰქონდაო.

თეატრის მახინამი.

ამ უკანასკნელს დროს პეტერბურგში წარმოადგინეს ახალი პიესა პატა-ვენკოსი „გარეშენი“ („Гыжие“). ამ პიესამ დიდი აყალ-მაყალი და დრტინვა გამოიწვია რეცენზენტისა და ზოგიერთთა მხრით, რადგანაც ამით ამ პიესას უწოდეს „უწმინდური პროზაული ახალგაზდა თაობის გრძობათა, აზრთა და რწმუნებათა შესახებ, აღიარეს, რომ ამ პიესით ავტორმა ტალახში ამოსვარა ახალგაზდა თაობა“.

ამის შესახებ პატავენკომ „ნოვოე ვრემიაში“ წერილი დასტამბა და გამოაცხადა, რომ მას სრულიად არ ჰყოლია სახეში ახალგაზდა თაობა საერთოდ და არც მისი „ტალახში ამოსვრა“ სდომებია, არამედ, რომ მისის პიესის შინაარსი, მისი ისრები და ძალა შეეხება იმ ზოგიერთთ, რომელნიც სამწუხაროდ იხადებიან, იზრდებიან და დათარეშობენ ცხოვრების მოედანზედ დაცილებულნი წმიდა მოვლეობასა და სინდისს...


მოგვყავს შინაარსი პიესისა:

ვარობას როგორ გამოეხარა... ქალმა აქ ცბიერად გაიღიმა და ცელქად თითი დაუქნია. — ეს ხომ ისეთი ნიშანია, რომლის წყალობით ადვილად მიპოვნი, ვინიცობა და ვიკარგო... სწორედ დასასჯელი ხარ ღმერთმანი... ამიტომაც — ინებეთ და ეხლავე დამიკონეთ ეს ხელი... თორემ...

— ოჰ, სასტიკო მსაჯულო! ითხუჯა მიხეილმა — საშინელის ძრწოლით ვიხდი ამ მძიმე სასჯელს! დაუმატა აგზნებით და მართლაც ყურის ბიბილოს დაეკონა. ქალი-კი გაეცხრა, თითქოს თბილ წყალში ზისო, შეშინებულ ნადირსავით გაინაბა, ტუჩების მიკარებისათნავე ტანში სიამოვნებით გააყრუოდა, გული აუტოკდა და ძლიერად შეიკუნტრუშა, თითქოს თოჯინა ხდებოდა.

ახალგაზდანი ვნებათა დღევის ზვირთმა გაიტაცა და შიგ შეუაგულ მორევი მოაქცია... მათ სრულიად გარდავიწყდათ ქართულიცა და სხვა... მიხაკო თავ-დავიწყებით წამოხტა ზეზედ, შორს გადისროლა რვეული, რომელზედაც ელისაბედს ცალი ხელი ელო და წამოიძახა: „Къ черту его!.. და კვლავ მიზნედილ-მინაზებულ ცოლს გადაეხვია. ამით გათავდა გაკვეთილი ამ საღამოსი.

ილ. ელფთეროძე. (შემდეგი იქნება).



მოხუცი მასწავლებელი დიბოლ-
ცევი, წარმომადგენელი მესამე
წლების იდეალურის მიმართულებისა,
მთელს თავისს შრომით აღბეჭდილს
სიცოცხლეს სწირავს აღზრდას ერ-
თადერთის შეილისას, რომელშიაც
შეხვედრის იმგვარსავე იდეალურს ფიცს
ბუნებებს, როგორც თვით მას აქვს.
როდესაც ახალგაზრდა დიბოლცევი,
კოსტია, უმოდეს სასწავლებელში
სწავლობს, მას იმ დროს შეუყვარ-
დება ახალგაზრდა ქალიშვილი ალინა,
რომელიც მამა-მისის სახლში სცხოვ-
რობს, დაუახლოვდება და დაუკავშირ-
დება მას და მათ მიეცემათ შვილი.
კოსტია შვილს უწოდებს დედის
შერთვას, როგორც კი სწავლას და-
ვამთავრებო. მაგრამ იგი სწავლას ამ-
თავრებს და დაპირებას ქორწინების
შესახებ განხედა სდებს და ტრფილის
უწყებს ახალგაზრდა, ლამაზს და მდი-
დარს ვაჟის ქალს უტყინისას.
ამით იწყება პიესა. ალინა იწყე-
ბა და ივლიჯება, რომ როგორც კო-
სტია შეასრულოს მასდამი მიცემ-
ული სიტყვა. მოხუცებულს დიბო-
ლცევის არ უნდა ერთის წამით იმ
იქვენულობით შეიმოსოს, რომ
მის შვილს შეუძლიან უარ-ჰყოს
პატიოსანი სიტყვა და დაარღვიოს
მოვალეობა თვისი წინაშე მოტყუე-
ბულის აღინასა. შვილი მიუხედავად
ამისა ირთავს მდიდარს ქვრივს და
მთელი პიესა გვისურათებს ბრძოლას
მოხუცებულის დიბოლცევისა და მის
შვილს შორის ამ ქორწინების შესა-
ხებ. მამა ჩასცივება შვილს, რომ
მან გამოასყიდა და მოსანანიებლად
თავისის ცოდვისა შეირთოს მის მიერ
ნამუს-ახლილი ქალი და ერთად მას-
თან გასწიოს შრომის უღელი; შვი-
ლი-კი იმ აზრისაა, რომ სისულელეა
გამრავლება დატყაობა, როდესაც შე-
იძლება ადამიანმა სხვა გვარად მო-
წყოს საქმე, როგორც ამ შემთხვე-
ვაში საყვარულისა და მოყვარულის
ქვრივის შერთვით. ქვრივი უტყინისა
ხუთი-ათასს თუმანს აძლევს ალინას,
რომ მისაგან დადწიოს თავი. მოხუ-
ცებული დიბოლცევი, როდესაც ყო-
ველსავე ამას შეიტყობს და რწმუნე-
ბით, მდიდს უტყინის სახლში, სადაც
მზარულდება უტყინისა და ახალგაზ-
რდა დიბოლცევის დანიშნვის გამო, მიჰ-
მართავს მათ ვრცელისა და მკაცრისი-
ტყვიით და შვილს უწოდებს „უნამუ-
სოს“. ამის შემდეგ იგი გამოდის იმ
სახლიდან და თან თავისი მეგობარი
თავისსავე ძველი იდეალისტი მიჰყავს
ამ სიტყვებით: „წავიდეთ—ჩვენ აქ გა-
რეშენი ვართ“
ჩვენის ფიქრით, აქ არავი-
თარი ვაკცხება, ტალახსა და წუმ-
პეში ამოსვრა არ არის ახალ-თა-
ობისა! ვერავინ ვერ იტყვის მას, რომ
მთელი ახალი თაობა რუსეთისა ჰქონ-
და სხვა რომელისავე ქვეყნისა ამგვა-
რი იყოს, ასეთს ბილწსა და გასაკიცხს
გზას ადგეს! მაგრამ იმას-კი ვერც ერ-
თი საზოგადოება, ქვეყანა და სახე-
ლმწიფო ვერ დაიჩემებს, რომ მის
მცხოვრებთა შორის სამწუხაროდ და
საუბედუროდ რამდენიმე ისეთი არ
ერთის, როგორც პატარეკოს ჰყავს
გამოყვანილი, რომელიც სიმდიდრეს
სწირავს სინილისსა და ქვემარტ
თავ-მოყვარეობას!
დიად, არიან ასეთები, დიად
საქირთა ბრძოლა მათ შესამუსრავად,

რომ მითი დაიხსნან ნამუსი და პა-
ტივი უმწეო და ბუნებით სუსტის ახა-
ლგაზრდა ქალიშვილითა. მაგრამ სა-
ზოგადოება ამის ნაცვლად შეხდება,
რომ ასეთს ვაჟებატონებს უფრო მე-
ტი ფასი და პატივი ეძლევათ. ამგვა-
რად წათამამებულნი ისინიც თავ
მომწონედ გამოდიან და დიდის რი-
ხითა და ზემით ლაღადებენ თავისს
გულწრფელსა, სასარგებლო სამსახურსა
და პატიოსანებასა!..
ამისათვისაც პატარეკომ საგაღდე-
ბულოდა სცნო დაესურათებია ეს
სატივიარი საზოგადოებისა და ღირ-
სეულად დაედო მისთვის ფასი. ის
აზრი, დაქვანება, რომ ამ პიესით პა-
ტარეკომ მთელი ახალი თაობა ტალახში
ამოსვრავს,—არის სრულებით უსაბუ-
თო და ფაქტიურს ნიღაფს დაშო-
რებული..
„ნოვოე ვრეშია“—ც სწორედ ამასვე
ამბობს ამ საგნის შესახებ და თავისს
აზრს ამ გვარად აბოლოვებს:
„...დღე, ჰხელავდნენ მეგლს, რაც
უნდა მახინჯი იყოს იგი, რა რომ
ცხოვრების სარბიელზედ იგი გამო-
ნავარდნა! საქმეც იმაშია—დათარე-
შობს, თუ არა ამგვარი მეგლი ჩვენის
ცხოვრების ნიღაფზედ?.. ასეთის
ტიპების დასურათება ცილის-წამებე-
კი არა, გაფრთხილება არის!...“
წამილი რამდენიმე მიმართ.
მე გასჯავრთ ქართველი მამადიანი,
ერთი ამ მრავალთაგანი, რომელნიც
არასის წლის წინად დროთა გათარე-
ბის გამო მოკვდილნი იყვნენ ქვე-
ყნის სუფლას და მით დაკრძალნი თვით
კრსაც, ჩვენს მოძვე ქართველებს. მაგ-
რამ განკარგავს სხვათაგან მოკვდა და
დაკრძალნი, მანამ კვლავ შეუერთდით სა-
ქართველოს. ჩვენს მოძვე ქართველებს
სასარგებლო მიეგებენ ასეთს გავრე-
ბას და აღარც დადგან ასანეს დაემტკი-
ვებინათ თავისი მშობი საყვარულია.
ბუკნისაგან სცდამაგენ ქართველთა
გულ-შემატკივარნი ჩვენთან უფრო მჭი-
დროდ დაკავშირებულნი,—მოდან ჩვენში,
სწავლობენ ჩვენს ცხოვრებას, სცდამა-
გენ ჩვენში ქართველთა წინადაგებულად
აღდგენას, რომელიც არასის წლის გა-
ნმავლობაში არ დაგვიკარგავს და სხვ.
ერთ ასეთ ზრუნვად ჩათვლება შემ-
დეგი განკარგვა: ჩემი შვილი, რომელ-
მაც ტფილისის გამანაზარში შესრულა
სწავლა, დღეს რადის უნივერსიტეტში
სწავლობს და დად პატარეკულის თავა-
დას ზეპირად კარსთავის სარგებო. მე
ჩემას მხრავ განუსაზღვრელისა და
გულ-წრფელის მადლობით ვარ აღესა-
ლა ამ ნამდვილის ქართველის მიმართ,
რომელმაც დანაშაულებას მისცა ჩემს
შვილს უმაღლესი სწავლა მიეღო.
ეს შიწველი მავალია არის, რომ
ქართველს მამადიანს საქართველო-
ში საშუალო სწავლა მიეღოს რუ-
სის სკოლაში და უმაღლესს სას-
წავლებელში შესწავლოს. ეს ჩვენთვის,
მამადიან ქართველებისათვის, ერთნაირად
სანუგეშოა და გვემის კადრც, რა მძე-
ბა და საყვარული იქნეს ქართველებს
ასეთის მზრუნველობით მოკვებულნი.
იმედი მაქვს ჩემი შვილი, ეს ახალ-
გაზრდა ქართველი, აღაჭურვება-არ ცხო-
ველს მუდმივად სწავლა-მეცნიერებით,
არ დაიკარგოს, რომ იგი ქართველია და
სსკუბთან ერთად მოკვლავ ქართველად
ემსახურებს თავისს ქვეყნას, რომელმაც

საყვარულით მიიღო იგი თავისს მზრუ-
ნელობის ქვეშ. იმედი განათლებით
აღჭურვული და მამულიშვილობის საყ-
ვარულით აღესადა სამაგაროდ ედგება
ერთი ათასად მიუძღვნას ქვეყნას და
მისგან მინატკებული ნათელი და თვით მოჭ-
ფენს ნათეს ქართობა-მშობლისა და
მამულიშვილობის მხარეს საქართველოსას.
სრული იმედი მაქვს დანაწილებნი ქარ-
თველ-მამადიანნიც უარს-არ-ჰყოფენ
სწავლა-განათლებას, ამ ერთობის და
თავთნობობობებს საყვარულია იარაღს
და ედგებიან შეძლებას-და-გვარად შეი-
ძლებს აღზრდას. აქ გვერდით გვეყენს
ჩვენს ერთგული და მოსიყვარული შვილი,
რომელნიც მუდამ ამის მანდადინი არი-
ან, რომ მტკიცედ და შეუწყვეტი ერთობა
ჩამოკარგავს ჩვენს შრომას.
თქვენი ღრმად პატივის-მცემელი გულგა-
ლა კიაკივილი.

შემოწირულობა.

რედაქციამ მიიღო თავ. რაფიელ ერისთა-
ვის ფონდისათვის ფოსტა-ტელეგრაფის მო-
ხელთაგან შეკრებილი 28 მან., რომელ-
იც გარდაეცმა დანიშნულებისამებრ.
თარჯანიძე, პული თარჯანიძე; და-
თიშვილი, ნახიძე, საყვარელიძე, ქარუმიძე,
სამადალაშვილი, კორნატოვი, ხოჯაშვილი,
შათირიშვილი, თხელიძე, კალაიჯაშვილი,
ბაღრიძე, ხონიაშვილი და იანქოშვილი—
თითო მან; პოკროვიცი, თავაძე, მუსხელი-
შვილი, შოთაძე, ერმოლავეი, შაკოვი,
ლონდაძე, რციხაძე, ფაფიაშვილი, კახიანი,
ჩინჩალაძე, კვიციანიშვილი, ზახიციანი, კეთი-
ლაძე, ცალქალიძე, ნაცვლიშვილი, წერე-
თელი, ხრამულიშვილი და ხოჯაშვილი ალ.
—ათ-ათი შური. ბაე-ბუჯაშვილი 40.,
ასლანიანი 30., მახვილაძე, კვიციანი-
ძე, მახვილაძე და ალიხანოვი თითო
აბახი.

დებემა

(რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან).
31 ოქტომბერი.
პატიმარბრძი. დიდი მთავარი დი-
მიტრი კოსტანტინეს ძე 30 ოქტომ-
ბერს რუსეთში სამოგზაუროდ წავი-
და.
ნიჰნი-ნოვოროდი. მდინარე
ვოლგასა და ოკაზედ გემთა მსვლე-
ლობა სრულიად შესწყდა. 9 გრა-
დუსი ყინვა.
პარისი. ფინანსთა სამინისტროში
ჩრევა ჰქონდათ, რის გამოც ფულის
ბაზრის მდგომარეობა გაუმჯობესდა.
ბერლინი. ბერლინის ბანკმა ვექ-
სილების ფასი 3%-დგან 4%-ზედ
ასწია.
კონსტანტინოპოლი. „რეიტერ-
ის სააგენტო“ იუწყება, რომ ამ
სამის დღის წინად ექვსის სახელმწი-
ფოს ელჩებს ბუბა ჰქონდათ აქაურ
საქმეების შესახებ და მათი დღევან-
დელი მდგომარეობა სერიოზულად
იქნა ცნობილი. 30 ოქტომბერს
განზრახვა ჰქონდათ გარეშე საქმეთა
მინისტრისათვის ახალი წინადადება-
ნი წარედგინათ ანატოლიაში მისა-
ღებ საშუალებათა შესახებ. საზოგა-
დოდ ყველა იმ აზრისა იყო, რომ
საქირთა საქმეში ევროპა ჩაერთოს,
რადგანაც ოსმალეთის მთავრობა ვე-
ლარასა ხდება სომეხთა ამოწყვეტისა
გამოა.

ლონდონი. „სტანდარდს“ აუწყ-
ებენ სტამბოლიდან, ყველა სახელ-
მწიფოს ელჩები ხელახლად მივიდნენ
სულთანის სასახლეში; როგორც ხმა
ისმის, მოსალოდნელია დიდი ვეზირი
ხელახლად იქნას გამოცვლილი.
ლონდონი. ლიბერალური გაზე-
თები მზრუნველად ეგებებიან სოლს-
ბერის მეგობრულს სიტყვასა და მას-
ში აღნიშნულს რუსეთთან ნდობას,
რადგანაც ამ გარემოებაში რუს-ინგ-
ლისელთა თანხობის დადგენას ჰხელ-
ავენ. „დაილი ხრონიკლ“-ი შექნიშ-
ნავს: „მართლა რომ ეს თანხობა
გახორციელდეს, მიზინ თვით ქარი-
შხალშიაც-კი თავისუფლად შეიძლე-
ბა ძილიო“.

განცხადებანი

ბირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძველის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-
დღე, კვირა დღეებს გარდა.
დიღობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.
იმით, ვისაც სჭირს: სნეულბანი სახი-
რურგო, ვენერიული და სიფილისი.
გ. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნე-
ულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-
ვებისა.
**ექ. ქაღი ა. ი. ზარეკან შჩერ-
ბინისა, 10—11 საათ.** სნეულბა-
ნი: დედათა სქესისა და შინაგანი.
ი. ზ. ზარეკანისა, 12—1 სა-
ათ. სნეულბანი: ყურისა, ყელისა,
ცხვირის და გულ-მკერდისა.
ა. ზ. კარაშვილისა, 1—1 1/2 სა-
ათ. სნეულბანი: შინაგანი და ბა-
გვეებისა.
სადამოლობით:
ი. ფ. ზარეკანისა, 5—6 საათ.
შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ბ. გ. გურგა, 6—7 საათ. სნეუ-
ლბანი: სიფილისი, ვენერიული, ში-
ნეგანი და კანისა.
ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 სა-
ათმდის.
ბ. გ. გურგა. გამოიკვლევს ქიმი-
ურად და მიკროსკოპიულად შარდს,
ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
ჩრევა-ღარიგების და რეცეპტის აწერის
ფასი ათი შური; ფასი კონსილიუმის და
ლაბორატორიისათვის—მორიგებით. სამკურნა-
ლოს საწარმოც აქვს ავადმყოფთათვის.
ღამჯეტოა სამკურნალო დაქტო-
რა მედიცინის ნავასარდიანი.
(857—1468)

გბილის ექიმი J. O. მრბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლში №14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე,
სალამთი 4-დგან 6 საათამდე.
პირა-შემე დღეებში
ღილის 10 საათიდან ნაშუადღევს
2 საათამდე. (166—1891—22).
დაბიბედა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავარცლებელ სა-
ზოგადოების მალაზიაში.
მეფე ირაკლის
ემირები
ფასი სამი შურა.
წიგნის მალაზიებს და ვინც თთ ცა-
ლზედ მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.

ისევე...
ყველა წიგნის მალაზიაში ახალი ქა-
რული წიგნი
სოლვა
სიხვარულისა
(Crime d' amour)
რომანი
ზოლ ბურჟესი.
თარგმნილი გრ. ყოფიძის მიერ.
ფასი 70 კაპ.
ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს
პირ-და-პირ მთარგმნელისაგან, 20%
დაეთმობა. აღრესი: Тифлисъ, pe-
დაкциა „Моабია“. Гр. Кишшидзе.
გამოვიდა კ. თავართქილიძის მიერ
გამოცემული ახალი წიგნები:
1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება)
მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი
ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი,
ფასი ერთი შური.
2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა.
თარგმნილი მ. გურიელისა. ავტო-
რის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურა-
თით კარგს ქალაღზედ. ფასი 10 კ.
3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნი-
ერთა და ფილოსოფოსთა თქმული
და გაგონილი ქალების შესახებ).
შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. სუ-
რათით, მშვენიერს ქალაღზედ 20 კ.
4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო
უჩაიშვილისა, ფ. 15 კ.

ახლად დაბეჭდა და ისყიდება წე-
რა-კითხვის გამავარცლებელის საზო-
გადოების წიგნის მალაზიაში:
ნ. ზარათაშვილის
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.
მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.
მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.
გამოვიდა და ისყიდება
ამოსე სონელი ღმისი ამირან
დარეჯანისანი
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ. ფასი 10 კაპ.)

„სიჭაყვისკოლეც“
ფრიად კარგი და გამოსაყენებელი
წიგნი იმათთვის, ვინც დასწავლულა
და დაგადებულია ობინისა და თე-
ნაშვილის ცხოვრებით.
თხზ. — რის ლორენსისა.
რუსულად გამოცემულია — რ
გ — დას მიერ.
ფასი ერთი მანათი.
ამ სასარგებლო წიგნი ბევრი სა-
შუალებად დასწავლულნი შემოსე-
ნებულ მანკის შედგენის ასაცილებლად
და დასწავლულთა ფანისა და ლო-
ნის დონეზედ დასაყენებლად.
წიგნი ნება-დართულია მოსკოვის
ცენტრალური კომიტეტის მიერ.
საწიგნი იმყოფება ოტტო ასპერ-
გერთანადაც **Otto Asperger-
Leipzig** (საქსონის). უცხო-ქვეყნული
წიგნის გაგზავნის ფასს იხილან.
36—1—15